

შპს „კონდი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი			შენიშვნა
	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020	
აქტივები				
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	989613	545086	367302	
ფულადი სახსრები	432734	203639	120865	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	99040	43380	12707	
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	184756	80971	67260	
მარაგები	272562	215437	151681	3.2
სხვა მიმდინარე აქტივები	521	1659	14789	3.3
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	5980202	5975092	5877455	
ძირითადი საშუალებები	5976048	5970121	5871797	3.4
არამატერიალური აქტივები	4154	4971	5658	3.5
სულ აქტივები:	6969815	6520178	6244757	
ვალდებულებები და კაპიტალი				
<i>მიმდინარე ვალდებულებები, სულ:</i>	704780	498999	590756	
სავაჭრო ვალდებულებები	577624	391344	352384	
საგადასახადო ვალდებულებები	107811	85964	35973	
მოკლევადიანი სესხები			150000	
სხვა ვალდებულებები	19345	21691	52399	3.6
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	2627935	3658236	4366208	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2627935	3658236	4366208	3.7
<i>სულ კაპიტალი:</i>	3637100	2362943	1287793	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი				
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	3637100	2362943	1287793	3.8
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	6969815	6520178	6244757	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2023 წ.

დირექტორი

ირაკლი ბოჭორიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს „კონდი“

მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება

	ერთეული: 1 GEL		შენიშვნა
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2022	2021	
ამონაგები	9323314	7006079	3.9
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-5884854	-4536788	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	3438460	2469291	
მიწოდების ხარჯები	-1153874	-986911	3.10
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-751512	-663663	3.11
სულ საოპერაციო ხარჯები:	-1905386	-1650574	
საპროცენტო შემოსავალი	5916	798	
დადებითი საკურსო სხვაობები	587146	531647	
სხვა შემოსავალი	16812	73537	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	609874	605982	
საპროცენტო ხარჯი	-194700	-206618	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-17588	-21538	
გაუთვალისწინებელი ხარჯები	-44738	-34706	
ზარალი ძირ. საშ. რეალიზაციიდან	-257026	-262862	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-257026	-262862	
მოგება დაბეგვრამდე:	1885922	1161837	
მოგების გადასახადის ხარჯი	-91765	-13003	
სულ საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი:	1794157	1148834	3.12
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:			
სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავალი:	1794157	1148834	
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის	2362943	1287793	
ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზრდა			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი):	-520000	-73684	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3637100	2362943	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2023 წ.

დირექტორი

ირაკლი ბოჭორიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს „კონდი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2022	2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-151679	-221515
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-188784	-205820
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-340463	-427335
სავალუტო კურსის ეფექტი	569558	510109
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	203639	120865
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	432734	203639

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2023 წ.

დირექტორი



ირაკლი ბოჭორიშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს „კონდი“

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

	ერთეული: 1 GEL			
	საანგარიშგებო პერიოდი			შენიშვნა
	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020	
აქტივები				
მიმდინარე აქტივები, სულ:	989613	545086	367302	
ფულადი სახსრები	432734	203639	120865	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	99040	43380	12707	
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	184756	80971	67260	
მარაგები	272562	215437	151681	3.2
სხვა მიმდინარე აქტივები	521	1659	14789	3.3
გრძელვადიანი აქტივები, სულ:	5980202	5975092	5877455	
ძირითადი საშუალებები	5976048	5970121	5871797	3.4
არამატერიალური აქტივები	4154	4971	5658	3.5
სულ აქტივები:	6969815	6520178	6244757	
ვალდებულებები და კაპიტალი				
მიმდინარე ვალდებულებები, სულ:	704780	498999	590756	
სავაჭრო ვალდებულებები	577624	391344	352384	
საგადასახადო ვალდებულებები	107811	85964	35973	
მოკლევადიანი სესხები			150000	
სხვა ვალდებულებები	19345	21691	52399	3.6
გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:	2627935	3658236	4366208	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2627935	3658236	4366208	3.7
სულ კაპიტალი:	3637100	2362943	1287793	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი				
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	3637100	2362943	1287793	3.8
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	6969815	6520178	6244757	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2023 წ.				
დირექტორი _____	ირაკლი ბოჭორიშვილი			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს „კონდი“				
მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება				
		ერთეული: 1 GEL		
	საანგარიშგებო პერიოდი			შენიშვნა
	2022	2021		
ამონაგები	9323314	7006079	3.9	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-5884854	-4536788		
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	3438460	2469291		
მიწოდების ხარჯები	-1153874	-986911	3.10	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-751512	-663663	3.11	
სულ საოპერაციო ხარჯები:	-1905386	-1650574		
საპროცენტო შემოსავალი	5916	798		
დადებითი საკურსო სხვაობები	587146	531647		
სხვა შემოსავალი	16812	73537		
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	609874	605982		
საპროცენტო ხარჯი	-194700	-206618		
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-17588	-21538		
გაუთვალისწინებელი ხარჯები	-44738	-34706		
ზარალი ძირ. საშ. რეალიზაციიდან				
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-257026	-262862		
მოგება დაბეგვრამდე:	1885922	1161837		
მოგების გადასახადის ხარჯი	-91765	-13003		
სულ საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი:	1794157	1148834	3.12	
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:				
სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავალი:	1794157	1148834		
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2362943	1287793		
ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზრდა				
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი):	-520000	-73684		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში				
კაპიტალის სხვა ცვლილებები				
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3637100	2362943		
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2023 წ.				
დირექტორი _____	ირაკლი ბოჭორიშვილი			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს „კონდი“		
ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
	ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2022	2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-151679	-221515
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-188784	-205820
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-340463	-427335
სავალუტო კურსის ეფექტი	569558	510109
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	203639	120865
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	432734	203639
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად	30.09.2023 წ.	
დირექტორი _____	ირაკლი ბოჭორიშვილი	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „კონდი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2015 წლის 22 ივლისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404497914, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, გ. რჩეულიშვილის ქ., კორ. 4, ბ. 12. ფაქტობრივი მისამართი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი 51დ. (ყოფილი: ქ. თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია.) კომპანიის საფირმო სახელწოდებაა „საკონდიტრო ბელა“. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2015 წლის 2 სექტემბრიდან.

1.2. კომპანიის წილის მფლობელები არიან:

ირაკლი ბოჭორიშვილი (პ/ნ 01017011954) - 50%.

ბექა ბოჭორიშვილი (პ/ნ 01017016820) - 50%.

1.3. კომპანიის დირექტორია ირაკლი ბოჭორიშვილი (პ/ნ 01017011954)

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა არახანგრძლივი შენახვის საკონდიტრო ნაწარმის წარმოება და რეალიზაცია.

1.5. კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიას დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხვი 2022 წელს შეადგენდა 98 ადამიანს.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრო ნაკლებ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (გარდა მცირევადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა) ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით;

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიკვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით.

არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯების ოდენობით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის

გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25 წელი;

მანქანა-დანადგარები - 5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 5 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 6-7 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები,

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2022 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2,7020 ლარი;

1 EUR=2,8844 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2022		ნაშთი 31.12.2021		ნაშთი 31.12.2020
	(ლარი)		(ლარი)		(ლარი)
ნაღდი ფული სალაროში	87578.24		133020.58		69885.08
მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	345155.50		70618.73		50979.49
	432 734		203 639		120 865

3.2. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2022		ნაშთი 31.12.2021		ნაშთი 31.12.2020
	(ლარი)		(ლარი)		(ლარი)
საქონელი	71645		40471		17638
წედლეული და მასალები	192868		168171		133402
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	8049		6794		642
	272562		215437		151681

სხვა მატერიალური მარაგები შედგება საწვავისაგან.

3.3. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2022		ნაშთი 31.12.2021		ნაშთი 31.12.2020
	(ლარი)		(ლარი)		(ლარი)
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	0		15		13 415
წინასწარ გადახდილი გადასახადები	521		955		1 374
საპენსიო სააგენტოში წინასწარ გადახდილი თანხები	0		689		
	521		1 659		14 789

3.4. ძირითადი საშუალებები:

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენიშვნები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
	(ლარი)	(ლარი)		(ლარი)	(ლარი)	(ლარი)	(ლარი)	(ლარი)
ნარჩენი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	663421	0	4379244	14791	129090	24207	759368	5970121
დამატება		310489	136327	7101	102888	18431	137345	712580
შემცირება		220539						220539
ცვეთის და მორტიზაციის ხარჯი			186000	5242	62804	8659	223410	486114
ჩამოწერა-გასვლა							0	0
ნარჩენი ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	663421	89950	4329572	16650	169174	33980	673302	5976048

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბიოლოგიური აქტივების ღირებულება შეადგენს 3764 ლარს.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2022 წლის ბოლოს - 1393308 ლარი;

3.5. არამატერიალური აქტივები:

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
	(ლარი)	(ლარი)
ნარჩენი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4971	4971
დამატება		0
შემცირება		0
ცვეთის და მორტიზაციის ხარჯი	817	817
ჩამოწერა		0
ნარჩენი ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4154	4154

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა: 2022 წლის ბოლოს - 4015 ლარი;

3.6. სხვა ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022 (ლარი)		ნაშთი 31.12.2021 (ლარი)		ნაშთი 31.12.2020 (ლარი)
თანამშრომლების მიმართ ვალდებულება	0		194		25 501
მიღებული ავანსები	0		0		0
იჯარის მომწოდებლების მიმართ ვალდებულება	17 488		21 497		25 645
საპენსიო სააგენტოს მიმართ ვალდებულება	1 857		0		1 253
	19 345		21 691		52 399

3.7. გრძელვადიანი სესხები:

კომპანიას აღებული აქვს გრძელვადიანი სესხები ევროში სს თიბისი ბანკიდან, რომლის მიზნობრივი დანიშნულება იყო საწარმო და საოფისე შენობის აშენება და კეთილმოწყობა.

ასევე აქვს სესხი სს თიბისი ბანკიდან ლარში.

ევროებში არსებული სესხების გადაფასება ხდება წლის ბოლოს, შესაბამისი ეროვნული ბანკის კურსით ლარში.

	ნაშთი 31.12.2022 (ლარი)		ნაშთი 31.12.2021 (ლარი)		ნაშთი 31.12.2020 (ლარი)
გრძელვადიანი სესხი ევროში სს თიბისი ბანკი (Sesabani si kur si T l ar Si)	2278217		3093105		3908423
გრძელვადიანი სესხი ევროში სს თიბისი ბანკი (Sesabani si kur si T l ar Si)	165810		346700		457785
გრძელვადიანი სესხი ლარში სს თიბისი ბანკი	183908		218431		
	2 627 935		3 658 236		4 366 208

3.8. საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის წესდებით განსაზღვრული კაპიტალი 0 ლარია, რაც დასაშვებია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. შესაბამისად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი მთლიანად შედგება დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისაგან.

3.9. ნეტო ამონაგები და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

2022 წელს კომპანიის ნეტო-ამონაგები შედგებოდა წარმოებული საკონდიტრო ნაწარმის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლებიდან და საქონლის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლიდან.

	2022		2021
	(ლარი)		(ლარი)
ამონაგები წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან	8 683 707		6 623 960
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან	639 606		382 119
	9 323 314		7 006 079

	2022		2021
	(ლარი)		(ლარი)
წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება:	5 495 860		4 248 865
საქონლის თვითღირებულება	388 994		287 923
	5 884 854		4 536 788

წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს:

	2022 წ.
	(ლარი)
ნედლეულის და მასალების ხარჯი	4 048 448
წარმოებაში დასაქმებულთა ხელფასის ხარჯი	835 453
საწარმოო შენობის და დანადგარების იჯარის ხარჯი	50 847
კომუნალური დანახარჯები	201 115
წარმოების ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	325 748
სხვა ხარჯი	34 249
	5 495 860

3.10. მიწოდების ხარჯები

	2022		2021
	(ლარი)		(ლარი)
ხელფასები (კონსულტანტები და მძღოლები)	348 269		281 214
ავტომობილების საწვავის ხარჯი	84 686		50 781
კომუნალური ხარჯი (მაღაზიები)	80 265		74 731
მაღაზიების იჯარის ხარჯი	509 203		477 939
ძირ. საშუალებების ცვეთა	88 711		70 248
ავტომობილების რემონტის ხარჯი	26 964		16 636
მიწოდების სხვა ხარჯები	15 775		15 363
	1 153 874		986 911

3.11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2022		2021
	(ლარი)		(ლარი)
ხელფასის ხარჯები (ადმინისტრაცია)	364 140		326 633
საიჯარო ქირა	12 600		13 725
კომუნალური ხარჯები	3 216		1 743
საკანცელარიო ხარჯები	10 955		8 012
კომუნიკაციის ხარჯები	11 286		13 075
საკონსულტაციო ხარჯები	8 929		1 913
ცვეთა/ამორტიზაცია	72 472		77 920
საგადასახადო ხარჯები (გონების გადასახადი)	54 893		53 165
საბანკო ხარჯები	56 232		38 163
საერთო დანიშნულების რემონტის ხარჯები	26 244		18 660
სხვა ხარჯები	130 545		110 655
	751 512		663 663

3.12. დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება

2022 წელს კომპანიას ქონდა მოგება **1 794 157** ლარი, განაწილებული წინა წლის მოგების ნაწილი (დივიდენდი) - 520 000 ლარი, რომლის მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა - 91765 ლარი.

3.13. სასამართლო დავები:

კომპანიას 2022 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.14. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2023 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2022 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან (დამფუძნებლები, დირექტორი) ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

3.16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 30 სექტემბერს.